Библиотека-Музей имени И. Гришашвили ГССР
7124

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედუ ლი. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 1 1883-1891 15 იანვარი.

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თვით	5 მან.	12 თვით	6 მან.
6 —	3 —	6 —	4 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით въ Квирилы, Въ редакцію „Микемси“ и „Пастырь“.

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულის ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ახალი წელიწადი.

მოვილოცავთ ახალს წელიწადს, ჩვენო თანამოძმენო, მაგრამ არა ჩვეულებრივი წესით, **ახალის ბედნიერებით**, რადგან არც ერთ **ახალს** წელს არ შეუძლია თავის-თავად მიანიჭოს კაცს ბედნიერება და კეთილი ცხოვრება, თუ თვითონ კაცს არ გაუჩენია თავისთვის ეს ბედნიერება და კეთილი ცხოვრება. **სიტყვა ახალი ბედნიერება** არაფის არ გვაძლევს ბედნიერებას, რომელიც უმეტეს ნაწილად დამოკიდებულია ჩვენს შრომაზედ და მეცადინეობაზე. **ჩვენ** კი, **ჩვენო** თანამოძმენო, არ გვეკუთვნის წაჰხედოთ მათ, რომელიც არ ესმისთ ბედნიერების მნიშვნელობა დ ულოცავენ ერთი-ერთმანერთს ახალს წელს ახალის ბედნიერებით და ფიქრობენ, რომ მხოლოდ მათი მილოცვით ბედნიერი გახდება კაცი.

საზოგადოდ ხალხს ბედნიერება სულ თავისებურად ესმის. ერთი ბედნიერ ცხოვრებას ხედავს სიმდიდრეში, მეორე დიდ თანამდებობაში, მესამე დიდ სწავლაში, მეოთხე ქეიფში, მეხუთე სილამაზეში და სხვ... მაგრამ არ უწყიან, რომ ქვეყანაზე ბედნიერად არ სთვლიდნენ თავიანთ თავს მდიდრები, ხელმწიფენი, პირველი ბრძენნი, ნიადაგ მოქეიფენი და ულამაზესნი. მართალია, ასე ფიქრობენ ყველანი სიმდიდრეზე, სილამაზეზედ, დიდ სწავლაზედ, ქეიფზედ და სხვ., მაგრამ როცა წამი ლხინისა და შვებისა გაივლის,

ეს პირნი ერთი წუთის შემდეგ გრძნობენ რაღაცა სულის მწუხარებას, რაღაცა სიცარიელეს და მარტოობას. ჩვენ ვიცით, საყვარელნო მოძმენო, რომ სრული ბედნიერება, რომელიც კი შეიძლება მოიპოვოს კაცმა ამ ქვეყანაზედ, მდგომარეობს იმაში, რათა გვეშინოდეს ღვთისა და მტკიცედ აღვასრულებდეთ მის მცნებათა.

რა უფრო საჭიროა კაცისათვის? **შეიყვარო უფალი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და მოყვასი, ვითარცა თავი თვისი.** სიყვარული ღვთისა ითხოვს ჩვენგან, რომ ჩვენ ნიადაგ მტკიცედ ვასრულებდეთ ჩვენს მოვალეობას, როგორც სასულიერო ისე საერო წოდების მხრით. ჩვენი დიდი მოვალეობა ითხოვს ჩვენგან დიდს და დაუცხრომელ შრომას. ნიადაგი შრომა კი პირველი საშუალებაა ყოველი მწუხარების და მოწყენილობის განსაქარწყლებლად საზოგადოდ ყოველთა კაცთათვის და ნამეტურ მწყემსთათვის. ჩვენი საქმე არის საქმე ღვთისა, მწყემსი არის მოსამსახურე ღვთისა, მუშაკი ქრისტეს ყანაში საცხოვნებლად კაცთა. სამსახური ქრისტესთანა ცოდვილთა ცხოვნებად არის უმაღლესი სამსახური, რომელიც აღემატება ყოველს ქვეყნიურს სამსახურს. ჩვენი ბრალი არ არის, რომ ხალხს არ ესმის ჩვენი დიდი სამსახური, არ აფასებს მას ღირსეულად და ხშირად ქრისტეს მოსამსახურეთა ყველაზედ მდაბლად რაცხს.

ხშირად მოხდება, რომ რომელიმე საერო წოდების თანამდებობის პირი, რომლის ხელთ არის ყოველივე ღონისძიება, რათა მტკიცედ აღასრულოს თავისი მოვალეობა, ხშირად აცხადებს, რომ მან ჯეროვანად ვერ აღასრულა თავისი მოვალეობა. თუ ამისთანა თანამდებობის პირებმა, რომელთაც ამდენი ღონე ხელთა აქვსთ, მტკიცედ და ჯეროვანად ვერ აღასრულეს თავისი მოვალეობა, მაშ რაღა უნდა ვსთქვათ მწყემსებზედ, რომელთაც არავითარი ქვეყნიური ძალა არა აქვსთ ხელთ თვინიერ ზნეობრივ დარიგებათა და მოძღვრებათა. თუ მწყემსმა დაუწყო მხილება თავის სამწყსოს, მაშინ სამუდამოთ გადაიმტერებს მრავალთა, ვინაიდგან კაცის თავმოყვარეობა არ თმენულობს მხილებას, არა თუ მღვდლისაგან, არამედ თავიანთ ოჯახში მყოფისაგანაც. მაგრამ ჩვენ სრულებით არ უნდა მივაქციოთ ყურადღება ხალხის უმადურობას და სხვა და სხვა უსიამოვნებას, რომელნიც შეგვემთხვევიან ჩვენ ცხოვრებაში. ჩვენ ნიადაგ უნდა გვახსოვდეს ჩვენი დიდი მოვალეობა და ჩვენი მაცხოვრის სიტყვანი: **ნეტარ იყვნენ თქვენ, რაჟამს გდევნიდენ და გყვედრიდენ სიმართლისათვის, გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ თქვენი არს სასუფეველი ღვთისა.** აი რით შეგვიძლია ვინუგეშოთ ჩვენ. აი რას შეუძლია შეცვალოს ჩვენი მწუხარე ცხოვრება ბედნიერ ცხოვრებად.

მოგილოცავთ თქვენც, ქრისტეს სამწყსონო, ახალს წელიწადს. ვისურვებ თქვენთვის უპირველეს ბედნიერებას, რომელიც მდგომარეობს ღვთის და მოყვსის სიყვარულსა და შრომის მოყვარეობაში. ეს თვისებანი თუ დაუმკვიდრებია და შეუძენია კაცს, იგი ყველაზედ უბედნიერესია ქვეყანაზედ. ბედნიერს ვუწოდებთ იმ კაცს, რომელსაც აქვს ყოველივე ის, რაც კი საჭიროა მისთვის რიგიანი ცხოვრებისათვის. და რით შეუძლია კაცმა ყოველივე მისთვის საჭირო შეიძინოს? პატიოსანი შრომით, შრომით და შრომით. პატიოსანი შრომა, შრომის-მოყვარეობა, აი რით შეუძლია კაცი ბედნიერი გახდეს. გადაათვალიერეთ ყველა უბედურნი, ღარიბნი, ღატაკნი, მათხოვარნი, ბრალდებასა ქვეშე მყოფნი, დასჯილნი, და დააკვირდით მათ ცხოვრებას. თქვენ ცხადათ შეიტყობთ, რომ ყველა ეს უბედურნი მსხვერპლნი არიან თავიანთი ზარმაცობისა და უქმად ცხოვრებისა, დაათვალიერეთ სატუსაღოები, გამოიკვლიეთ მიზეზი ათასნაირ ბოროტმოქმედებათა და თქვენ დარწმუნდებით, რომ ყველა ეს ავაზაკნი ყველა ეს ბოროტმოქმედნი არიან ისეთი კაცები, რომელთაც არავითარი ხელობა, არავითარი მუშაობა არ ჰქონებიათდა პატიოსან შრომაზედ ხელაღებულნი ყოფილან. ამიტომაც არის ნათქვამი, რომ ზარმაცობა დედაა ყველა ბიწიერებათაო. ბედნიერია ის საზოგადოება, რომელშიაც ზარმაცნი არ არიან, არამედ ყველა შრომობს; ბედნიერია ის სახელმწიფო, სადაც შრომის-მოყვარეობა დამკვიდრებულა; იმ საზოგადოებაში, სადაც უსაქმურნი არ მოიპოებიან, არ არის არც ქურდობა, არც მტაცებლობა, არც კაცის კვლა და არც სხვა რაიმე უბედურება, ასე გასინჯეთ, რომ ვერც მათხოვარს ნახავთ იქ. სადაც დამყარებულია შრომის-მოყვარეობა, ბედნიერია ყველანი, იქ სუფევს ღვთისა და მოყვსის სიყვარული. ამისათვის ჩვენც ამ ბეჯნიერებას ე. ი. ღვთისა და მოყვსის სიყვარულს და შრომის მოყვარეობას ვისურვებთ თქვენთვის ამ ახალის წლის დამდეგს. ღმერთმან დაამკვიდროს ჩვენში ეს ბედნიერება ხალხთა საკეთილდღეოდ და ჩვენ მწყემსთა სასიხარულოდ და სანუგეშოდ.

მეგრულს ენაზე წერა-კითხვის გამოგონებისა გამო

ეს დალოცვილი და დიდებული მეცხრამეტე საუკუნე, მართლა, დიდებული შეიქნა მთელი ქვეყნისათვის. როგორც რომ კარგი ნოყიერი მიწა ამოამცენარებს სადს და მშვენიერს მცენარეს, ისე ამ საუკუნემ დაუხშირა დაბადება მეცნიერებისა, ფილოსოფოსებისა და რეფორმატორებისა კაცობრიობის სადღეგრძელოდ და მათ წარსამატებლად. არ დარჩენილა არც ერთი კუთხე ქვეყნისა, რომ მეცნიერებას არ ეჩინოს თავი ამ საუკუნეში; და რა გნებავთ, რომ ამ მეცნიერთ არ მოეგონოთ, არ გამოეჩინოთ და არ შემოედოთ სახმარებლად. ბევრმა დიდი ღვაწლიც დასდო კაცობრიობას თავის შესანიშნავი შრომით.—ამ საუკუნემ არც ჩვენ, მეგრელები, დაგვტოვა ობლად და გულ ნაკლულად. ჩვენც დაგვებადენ ამ ბოლო დროს მეცნიერები ჩვენი სიცოცხლის სადღეგრძელოდ. ოქვენი მტერია, ჩვენი სიცოცხლე კიტრად არ ეღირებოდა, რომ ესენი არ გვღირსებოდნენ. აი ნამდვილი იდეალი ჩვენი მყობადის გასაუმჯობესებლად ვისთვის მიუნიჭებია უფალს! ამათი იდეალური მიზდომილობა და მოქმედება სწორედ საქებია, საქები,—და აი რათაა საქები, მოგახ ენებთ. რამდენი ხანია ჩვენის არსებობის აქეთ და დღემდი, აბა, თუ ვინმე გამოჩენილა ჩვენში ისეთი მეცნიერი, რომ მოეგონოს და შემოედოს ჩვენს ენაზე წერა კითხვა. დღეს კი ამ მეცნიერებმა გაიმარჯვეს და სძლიეს ამდენი ხნის გამოუკვლეველ საკანს და დაგვიარსეს მეგრულს ენაზე ასოები და წერა-კითხვა. ამ პატივცემულ მეცნიერებს, როგორც სჩანს, დიდ ხანს უშრომიათ მეგრულ ასოების ამოსაკრეფად მეგრელების გულ-დვიძლიდგან, და ამიტომაა, რომ ასე ზედ მიწევნით ჰგავს ეს ასოები მეგრულს სიტყვიერებას. ვისაც კი შეუძლია გაარჩიოს მსგავსება ნათესავისა ნათესავისაგან, ის, როცა ნახავს ახალ მოგონილ მეგრულ ასოებს, იმ წამსვე იტყვის: «ზედ გამოჭრილი ღვიძლი შვილია ეს ასოები მეგრული ენ საო». ამას, რასაკვირველია, ასე იტყვიან, მაგრამ სამოცარი ის არის, რა ტვინმა გაუძლო ამ დიდებულ მეცნიერებს ამ ასოების გამოსაგონებლად და მეგრულ წერა-კითხვის დასაარსებლად?! გინაც სურვილი აქვს მეგრული ასოების ნახვისა, მათ ვსთხოვთ გაისარჯონ და ნახონ მეათე გამოცემა «Сборникъ матеріяловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа». სწორედ ამ გამოცემაში ნახავენ მეგრულ ასოებს და არაკებს. იქვეა საუცხოვოდ გადათარგმნილი «მამაო ჩვენო» მეგრულს ენაზე, რომელიც ქართული ასოებით აქვე მომყავს: „მუმა ჩქინი, ნამუ რექუ ქი ცას! წიმიდეორდას სახელი სქანი; ქუმორთას მიფობაქუ სქანქუ; ორდას ნება სქანი, მუშოთი ცასუნი, ეთეში ქიყუანას. ქობალი ჩქინი ოსქილადარი ქომუჩი ჩქუ ამუდდია. დო ქუმაპატი ჩქინი ვალეფი თეში მუშოთი ჩქი ვაპატიენთ ჩქინი მოვალეებს; დო ნუ მიშამიყონანქ ჩქი განსაცდელიშო, დო გიშამირსხი ჩქი ბოროტიშე». წამკითხველმა შეიძლება სთქვას: «ეს კარგად არის ნათარგმნი, მაგრამ მაინც არ ვარგა სალმრთო სალოცავად მეგრული ენა, რადგანაც ის არის მოპარული და წამხდარი ქართული ენა, და ამის გამო ღვთაებრივი მიმადლულება არა აქვს და არც იმდენი ღირსება და შნო აქვს, რომ ამ ენით იქნეს სალმრთო წესები აღსრულებულიო. რაც შეეხება მეგრული ენის ნათესაობას ქართულ ენასთან, ამას ცხადად ამტკიცებს თვით «მამაო ჩვენოში» ქართული სიტყვები, მაგალითად: მუმა ჩქინი, ცას, წიმიდე, სახელი; ნება, ქიყანას, ქუმოპატიი, ვალეფი, ნუ, მიშამიყონანქ, განსაცდელიშო, გიშამირსხი, ბოროტიშე.—და სხვა სიტყვები, მაგალითად ანგელოზი, წმინდანები, სახარება, სამოთხე, ხატი, ჯვარი, სანთელი, ჯოჯოხეთი, ეშმაკი, წაწყმენდილი, მართალი, ნათელი, წიგნები, ქალალდი, მელანი, კალამი, ტანისამოსი, ჩოხა, ქუდი, არხალუხი, კაბა, ჩექმა, თოფი, წყალი, ღვინო, ყურძენი, სადილი, მდინარე, ზღვა, ქვიშა, ქვა, ყვავილი, თუთუნი, ყალიონი, ოთახი, ლოგინი, სტოლი, სკამი, ცხენი, ჯორი, კამეჩი, უბედური, ბედნიერი, მდიდარი ღარიბი და სხვა..... ვინ მოსთვლის ყველას. თითქმის ნახევარი ქართული სიტყვებია მეგრულს ენაში, და როდესაც ამდენი ნათესაობა არის ქართულს და მეგრულს ენებში, რატომ უარ ჰყვეს იმ მეცნიერებმა ქართ-

ველებთან ნათესაობა და ქართული წერა-კითხვა? შეიძლება კიდევ ვინმემ სთქვას: თუ ამდენი ნათესაობა არის ქართულს და მეგრულს სიტყვებში, ეს ნათესმობა რად განუდევნიათ ახალ მოგონილი ასოებიდგან, რომ ერთი ქართული ასო არ არის იმაში ჩართული, მაშინ, როდესაც ქართული სიტყვები მეგრულს სიტყვებში თითქმის ერთი მესამედი ურევიაო? ასოებს კი არასფერი უშავს, მაგრამ მეგრული ფერი და ხორცი არ აქვს და ამის გამო ადვილად შეიძლება, რომ მეგრული ენა ისთე დამახინჯდეს, როგორც დამახინჯდება ლიმონის ხე ნიგვზის ხეზე დამყნილი, და ამ უკუდმართობის გამო ეჭვი არაა ავად მოიხსენიებს მომავალი თაობა იმ ვაჟბატონებს, რომლების ხელმძღვანელობით იქნა მოგონილი ეს მეგრული ასოები, რომლის წყალობით ბავშვს არა თუ გაეხსნება ნიჭი და გონება,—არამედ უფრო გზა და კვალს დაუბნევს და დაჩლუნგებს.

ყოველისფერი მაშინ ხარობს, როცა ერთის სისხლისაა და ერთი ხორცის, და არა სხვა და სხვა სისხლ ხორცისაო. გარდა ამისა—იტყვიან, თუ რომ ვარგებულიყო მეგრულ ენაზე წერა-კითხვის დაარსება საღმრთო წესების აღსასრულებლად და სალიტერატუროდ, განა მეგრელიის მთავრებს და სასულიერო წოდებას ამდენ ხანს არ შეეძლოთ შემოეღოთ? მიხვდით, რომ მეგრული ენა არის საშინაო სახმარებელი ენა და არა საღმრთო და სალიტერატურო. სამეგრელოში ქართული წირვა-ლოცვა და ლაპარაკი ყველას ესმის და უფრო კარგადაც; დასამტკიცებლად, თუ გნებავთ, დავასახელებთ მთავრი დავით დადიანის დროის მოხუცებულებს და გასინჯეთ, თუ ყველამ წმინდა ქართული არ იციან; ეს იმიტომ, რომ მანამდი სამეგრელოში უფრო ხმარებაში იყო ქართული მშობლიური ენა, ვიდრე ახლა. ახლა იმ შენს საქებ მეცნიერებს ქართული მშობლიური ენა რომ გაუძევებიათ დედების და მამების უკითხავად—ნუ თუ ქართული ანდაზა არ გაუგონიათ:

დედის წინ მიმხტომ კვიცსაო,
მგელი მოაგლეჯს კინჩხსაო.

ამ საგანზე ბევრი ბევრს რამეს იტყვის და კიდევაც ილაპარაკონ, ვისაც რა სურს; მე მაინც ჩემსას ვამბობ: საქებია, საქები ჩვენი მეცნიერები. კარგია თუ ავი მათი გამოგონილი ასოები, ვისი რა საქმეა, ჩვენ კი დაგვიარსეს მეგრული წერა-კითხვა და მეტი ჩვენ რა გვინდა. სალამი უთხრათ ყველამ ჩვენს დიდად პატივცემულ მეცნიერებს. «დმერთო, მიუტევე მათ, ვინაიდგან არა იციან, რასა იქმიან!» ჩვენ მხოლოდ ის გვაწუხებს, რომ ფულები ბევრი დაიხარჯება, შრომა და ცოდვილი ბევრი იქნება და სარგებლობა კი ცოტა.

ვასილ მასხულია.

„მწყემსი"-ს კორესპონდენცია

სვანეთიდგან.

ბევრჯერ იყო ხოლმე ბაასი ადგილობით გაზეთებში, რომ სვანეთი მოკლებულია სკოლებს, მომრიგებელ მოსამართლეს და ექიმსო. დღეს, მადლობა ღმერთს, პირველ ნაკლს მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება და აქა-იქ ხსნიან პირველ-დაწყებითი სკოლებს, მაგრამ მომრიგებელი მსაჯული და ექიმი დღეს-აც არა ჰყავს სვანეთს საკუთრად. მომრიგებელი მაჯული იმყოფება ცაგერში (ლეჩხუმის მაზრაშია). ზაფხულობითაც ძნელია სვანეთიდგან ცაგერში მიმოსვლა. და ზამთარში ხომ სულ შეუძლებელი ხდება სვანეთიდან ცაგერში გადასვლა. ბევრს ეს სიშორე უშლის ხელს, რომ უსამართლოებისაგან თავი დაიფაროს და ამიტომ, ხანდისხან, იძულებული ხდება მართლს-მსაჯულებას გვერდი აუაროს და თავის მჩაგვრელს თავად გასცეს პასუხი. წელს მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწე მოვიდა სვანეთში ერთის თთვის ვადით, რომ ადგილობით განეხილა საქმეები; მან ჯერ თხოვნები მიიღო და ხუთის დღის შემდეგ შეუდგა საქმეების გარჩევას. ამ დროს აქ მობრძანდა პროკურორის ამხანაგი სარეეზიოდ. მას ძალიან უკვირდა, რომ სვანეთში ძალიან ცოტა საქმეები ყოფილაო. გასარჩევი საქმეები ძალიან ბევრია, მაგრამ, თუ ცოტა სჩანს, ეს იმის მიზეზია, რომ სვანეთში საკუთარი მსაჯული არ არის. წელიწადში ერთს თთვეს ჩამოიელის მომრიგებელი მსაჯულის ამხანაგი სვანეთს, ამ მოგზაურობის დროს

ის ღებულობს თხოვნებს, რომელნიც შემდეგ მთელი წლობით ლეჩხუმში უწარმოებლად რჩებიან. ვსთქვათ მოხდა მკვლელობა. საჭიროა გამომძიებელი და ექიმი. თავის დროზე, სიშორისა გამო, ვერც ექიმს იშოვი და ვერც გამომძიებელს. ან როგორ გაბედავენ ეს მოსამსახურე პირნი შუაგულ ზამთარში სვანეთის მთებზე გადასვლას. იგინი იძულებულნი ხდებიან რამდენიმე თთვის შემდეგ მოვიდნენ და რამდენიმე თთვის დამარხული მიცვალებულები შეამოწმონ, «პრაგონი» აიღონ და მშვიდობიანად დაბრუნდენ ცაგერშივე. როგორ უნდა შეატყობს რამოდენიმე თთვის მიცვალებულს გამომძიებელმა და ექიმმა, თუ რა მიზეზით გარდაიცვალა იგი?

რადგან მართლ-მსაჯულება თავის დროზე ვერ აქცევს ჯეროვანს ყურადღებას ამისთანა გარემოებათა და თავის დროზე ვერ სდევნის დამნაშავეთ სიშორისა და ცუდი გზების გამო, განსაკუთრებით ზამთარში, ამიტომ სვანეთში დღეს ძალიან გახშირებულია ცარცვა-გლეჯა, კაცის კვლა და სხვა მრავალი ცუდ-კაცობა. ამ დღეებში სოფელს მესტიას გზაში თოფით მოჰკლეს აზ. გ. დ. ჯაფარიძე; ერთმა აზ. ჯ. ჯ—ძემ ხანჯლით მოჰკლა გლეხი ნ. ფალიანი. შარშან სოფ. ეცერში ერთი გლეხი მოწამლეს. ექიმმა შეამოწმა მიცვალებული, და აღმოჩნდა, რომ იგი მართლა მოწამლული იყო. წელს, ნოემბრის თთვეში ამ გარდაცვალებული გლეხის ნათესავებმა მოიპატიჟეს ხალხი მიცვალებულის აღაპზე. სამოცი კაცი და ქალი დაესწრო აღაპზე. პურის ჭამის გათავების შემდეგ ყველა დამსწრე პირები მოიწამლენ. მრავალი დაიხოცა და, რომელნიც გარდარჩენ, ისინიც ჯერეთ სრულიად არ გამომრთელებულან. პოლიციამ შეჰკრიბა დარჩენილი საქმელსასმელი, მაგრამ დამნაშავე დღესაც არ აღმოუჩენიათ. ამ დროს რომ ადგილობით ყოფილიყო ექიმი და გამომძიებელი, ამ საქმეს ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდენ და ბოროტ-მომქმედი, იმედია, არ დაიფარებოდა. ამასთან ექიმი შემწეობას მისცემდა მოწამლულთ და შეიძლება ბევრს დაიხსნიდა სიკვდილისაგან.

დროა ამ მხრით სვანეთს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და მიენიჭოს ამ მივარდნილს მხარეს საკუთარი მომრიგებელი მოსამართლე და ექიმი, თორემ ამ მოსამსახურე პირთ ცაგერიდამ არ შეუძლიათ რიგიანად აღასრულონ თავიანთი მოვალეობა, რადგან მათ ადგილობითაც ბევრი საქმე აქვსთ და მასთან ზამთრობით სვანეთში გადასვლა შეუძლებელი ხდება.

მღვ. ანტონ ქურციკიძე.

«მწყემსი»-ს კორესპონდენცია

ახალციხის მაზრიდამ.

ამ ბოლოს დროს ყველგან დიდი ყურადღებაა მიქცეული ძველ შესანიშნავ ნაშთებზე და ყველას სასტიკად აქვს აღკრძალული ამ ნაშთების აოხრება. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ მხრით დაიწყებულია ახალციხის მაზრა. იმოდენი ძველი შესანიშნავი ტაძრები და მონასტრები, რამოდენიც მოიპოვება ამ მაზრაში, ეგონებ, სხვაგან არსად იყოს. ამიტომ ფრიად საჭიროა, რომ არქეოლოგიურმა საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ ნაშთებს და დაიფაროს ისინი უსჯულო მოსლემანთაგან, რომელნიც ყველა ამ გვარ ნაშთებს შეუბრალებლად აოხრებენ. ხსენებულს მაზრაში ხშირად შეხვდებით შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვებით აგებულს ნაშთებს, რომელნიც დღეს თათრებს სადგომ სახლებად აქვსთ გადაკეთებული. ჩვენ აქ დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთ ნაშთებს: მაგალ. აეიღოთ აწყვერის დიდებული ტაძარი, რომელიც თავიდამ ბოლომდის აღშენებულია ჩუქრთმიანი ქვებით. დღეს ეს დიდებული ტაძარი შეუბრალებლად ინგრევა თათრების ხელისაგან. თათრები დღითი დღე აძროებენ ამ დიდებულს ტაძარს ჩუქურთმიან ქვებს და თავიანთ შენობებში ხმაროობენ. ძვირად ნახავთ ახალციხეში თათრების სახლებს, რომ მათ კედლებში არ ნახოთ ძველი ეკლესიების ჩუქურთმიანი ქვები წარწერებით. ერთმა თათარმა თავის სახლის ერთ კედლად იხმარა ძველი ეკლესიის კედელი. ზოგი ნაშთები თათრებს ნახირის სამწყერევად აქვსთ; ზოგში თივა—ბზეს ინახვენ. ერთი ძველი ეკლესია აქაურს სომხებს თავის ტაძრად გადაუკეთებიათ. სოფ. თისელში ორი მშვენიერი ეკლესიაა დღემდის დაცული. ამათში ერთი დიდი სობოროა და მეორე პატარა. დიდი სობორო მთლად დაცულია, მაგრამ შიგ მთლად საესეა საქონლის ნეხვით. პატარა ეკლესია კი ისეთ ადგილზე არის, რომ მას ვერც საქონელი მიუდგება და ვერც კაცი, ამიტომაც მას კარების მეტი არასფერი არ აკლია. ამ ეკლესიის კედლები მთლად მხატრობით არის დაფარული. აღსავლის კარებზე არის ზედ-წარწერა ბერძულს ენაზე. მხატრობა ისე მშვენიერად არის დაცული, რომ იგი ერთი წლის დახატული გეგონებათ. ამ პატარა

ეკლესიას შემოვლებული აქვს ქვიტკირის მაღალი კედელი. ეკლესიის კალავანში არის რამოდენიმე გამოქვაბული, რომლებშიაც მრავალი ღვინის ქვევრებია.

ასეთ მდგომარეობაშია დღეს ახალციხის მაზრაში ჩვენი მამა-პაპათაგან ნაშრომ—ნაღვაწი ტაძრები და მონასტრები და დროა ყურადღება მიეაქციოთ ამ ნაშთებს და დავიცვათ იგინი მტარვალთაგან.

მ. ბ.

ხასიათის მნიშვნელობა კაცის ცხოვრებაში. *)

(მანტეგაციდამ).

აზელიოს ჭეშმარიტი აზრი.—ხასიათი ჭკუაზე ძვირფასია.—უხასიათო კაცი—კაცი არაა.—გულკეთილობა და ძლიერება მუდამ თან ახლავს დიდს ხასიათს.—სიმამაცე და ზომიერი სიმკვირცლე—ნიშანია ყოველის პატიოსანი ხასიათისა.—შეურყეველობა ზნეობისა არ გვართმევს თავისუფლებას.—მხნეობა დამშვიდებული ძალაა.—მალ-მალ გამოცველა აზრებისა და ძი ართულებისა არ შეჰფერის მტკიცე ხასიათს.—მედგარი და მაგარი ხასიათი—დიდი ძალაა.

ერის დამოუკიდებლობა არის ხასიათის სიმკვიდრის შედეგი.

აზელიო.

შეიძლება, როდისმე ჩვენი ხასიათი გაუტოლდეს ჩვენს გენიოსობას.

სტალი.

კიდეც რომ არ გადგე სწორ გზას პატიოსანი მიდრეკილების ძალით, მე მაინც ამ გზას დავადგებოდი იმ გამოცდილების გამო, რომელმაც დამარწმუნა, რომ ეს გზა ყოველ გზაზე უფრო სასიამოვნო და სასარგებლოა.

მონტენი.

არც კაცურს და არც ღვთიურს ძალას არ შეუძლია ბოროტი აქმეგინოს მას, ვინც პატიოსნად ჰსცხოვრობს სამშობლოს საკეთილდღეოდ და საკუთარის დიდებისათვის.

ფოსკოლო.

(დასასრული).

არც იმისთვისაა დიდი გაბედულობა და ეაქკაცობა საჭირო, რომ შენი მეგობრის ცოლი ან ქალიშვილი გადიყოლიო და შეაცდინო, საკმაოა ცოტაოდენი ქალაჩუნობა, პირმოთნეობა და დარდიმანდობა. პირში ქებას და პირსუკან ლანძღვას არ უნდა არც მამაცობა, არც ძალა, არც ჭკუა. დიდი ჭკუა არც მისთვისაა საჭირო, რომ შენი პოლიტიკური აზრები იცვალო მიხედვით იმისა, თუ საიდამ უბერავს ქარი.

ყველა ამაებისათვის ითხოვება მხოლოდ სიფლიდე, დიდი ერთობ დიდი სიფლიდე. უხასიათო კაცები თუ რითიმე გაირჩევიან სხვა კაცებიდგან მხოლოდ მით, რომ ფლიდები არიან. კაცის ხასიათში ყველაზე უფრო ნამდვილად იხატება ყველა მისი სულიერი ნიჭიერებანი; იგი მტკიცედ ადგია რაოდენიმე ზნეობრივ დედა აზრებს, უეჭველ დოღმატებს, რომლებიც იყვნენ, არიან და იქმნებიან, სანამ კაცობრობა სცოცხლობს. იკვლიეთ, მაგრამ მხოლოდ ის, რაც საკვლევია,—მეცნიერება, ხელოვნება, სჯულმდებლობა, ქვეყნის საზღვრები,—იმაზე კი ნუ მოჰყვებით სჯას. შეუძლია თუ არა კაცს ბოროტის ჩადენა, სიცრუის ლაპარაკი, მოტყუება, პარვა, მეგობრის ღალატი. არის ზნეობრივი აქსიომები, იდეები,—საერთო ყველა ხალხებისთვის, ყოველი დროისთვის; არის შეურყეველი პატიოსნება, რომელზედაც არ სჯიან,—იგი უკვდავია და მიუცილებელი კაცისათვის, როგორც ჰაერი, როგორც საჭმელი, როგორც მოძრაობა და სიყვარული.

ძლიერი უნდა იყოს კაცი, რომ მტკიცედ ადგეს ბუნებრივი ზნეობის კანონებს და, საზოგადო გარყვნილების დროს, მუდამ და შეურყეველად ესწრაფვოდეს უმაღლეს თვითგანვითარებას, რასაც მე ხასიათი ეუწოდე; მაგრამ ძლიერი ვარო, ვერ იტყვის ის, ვინც უთმობს, ემორჩილება მედიდურობის ინტერესებს, გვერდს ვერ უელის სიმდიდრიდგან დაგებულს მახეებს და სხ.. მე ვთქვი და კიდე ვიმეორებ, რომ უხასიათო კაცი დაბალი არსებაა, რომელიც ყოველთვის მზადაა ჩაიდინოს უპატიოსნო საქმე, უღალატოს სვინდისს, იკადროს ყოველგვარი ჩირქიანი და უმართებულო საქციელი,—ის არის კაცი ყოვლად სუსტი და უძლური. მამაცი ვარო, ნუ იკვეხის და ნუ იქადის ის, ვისაც არ შეუძლია უშიშრად ილაპარაკოს მართალი, ვინც განსაცდელში და გაჭირვებაში მეგობარს ვერ იფარავს და ვერ შველის, ვინც მუდამ საზოგადოების ნაძირალს და გაფუჭებულს ნაწილში დაბერება, პირმოთნეობს, ქალაჩუნობს,

*) იხ. «მწყემსი» № 24 1890 წ.

ქვემძრომელობს და ორპირად, გაუბედავად მოქმედობს, ვინც სიმხდალეს—სიფრთხილეს ეძახის, ვისაც ვერაგობა—წინდახედულობათ მიაჩნია, გარყვნილება—კანონიერ სიამოვნებად და სხ... აბა რა მამაცობა უნდა მოსთხოვო ამისთანა კაცს, როდესაც მამაცი და მხნე კაცის პირველი ნიშანი ისაა, რომ იგი გულადია და უშიშარი და მისი ხასიათი ყოველთვის გაბრწყინვებულია მაღალის ღირსებით. ერთმა დიდმა მწერალმა სთქვა, რომ მ ა მ ა ც ო ბ ა — ი გ ი ვ ე გ ე ნ ი ო ს ო ბ ა ა, — და ამ სიტყვებში დიდაც სრული ჭეშმარიტება კაშკაშებს. ამ მწერალს ამითი ის უნდოდა ეთქვა, რომ ყოველი მძიმე და დიდი საქმის აღსრულებისთვის საჭიროა მხნეობა და მამაცობა და ვისაც ეს თვისება არ აკლია, იგი, რაც უნდა დაბრკოლება და გაჭირვება გადაეღობოს მას გზაზედ, მაინც ყოველთვის პატიოსანი კაცის სახელით გაიტანს ყოველთვის საქმეს.

არ იფიქროთ, რომ ხასიათის სიმტკიცის დაცვისათვის საჭირო იყოს მეტად თავის შეეიწროება და ერთსა და იმავე შემოფარგლულ წრეში, გასახედნი ცხენივით, ტრიალი. სრულიადაც არა. ზნეობის შეურყეველობა ჩვენ არასოდეს არ გვართმევს თავისუფლებას. რამდენი სხვა და სხვა ტვინის და გონების კაცია, იმდენი სხვა და სხვა საშვალებაა პატიოსანი ხასიათის დაცვისათვის. ყოველ კაცს თავისი ხასიათი აქვს: ზოგი ხალისია და ბუზღუნა, ზოგი—გმირია და გამბედავი, ზოგი მდორე და წყნარია, ზოგი მომთმენია, ზოგი ცხარეა, ზოგი მძიმე და გვიანია, ზოგი ჩქარი და შფოთიანია. მაგრამ მათ ყველას შეუძლიათ პატიოსანი და პატივისცემის ღირსნი იყვნენ, თუ მტკიცედ ადგანან და არასოდეს არ გადუხვევენ იმ ჭეშმარიტს დედა აზრებს, რომლებიც უკვდავი არიან როგორც ქვეყანა და შეურყეველნი როგორც კლდე.

ნუ სცილობთ მონურად გადმოიღოთ სხვისი ხასიათი, სჯობს ეცადოთ საკუთარი ხასიათის გასწორებას და გაუმჯობესობას. «დეე, თვითოეულმა კაცმა, როგორც სთქვა ერთმა გერმანიის დიდმა პოეტმა,—თავის ღერძის გარეშემო იტრიალოსო,—ნუ აჩქარდება, მაგრამ ნურც დაისვენებსო». ტყეებშიც მრავალგვარი მცენარეებია, მაგრამ თითოეულს მათკანს თავისი საკუთარი ხასიათი აქვს, თავისებური სილამაზე და შნო.

უხადო და სრულს ხასიათში ჩვენ ვხედავთ გულკეთილობას და ძალას, მაგრამ ეს ორი თვისება ისე სხვა და სხვა ფერად არის შეზავებული, თითოეულის ხასიათში, რომ ხასიათის განსაზღვრა და გარკვევა ძლიერ ძნელია.

სიმამაცე და სიმკვირცხლე—ნიშანია ყოველი პატიოსანი ხასიათისა. როგორც ყოველ მანქანას უსათუოდ რაიმე ძალა ამოძრავებს და ამუშავებს, აგრეთვე ყოველ პატიოსანს ხასიათს სიმამაცე ასულდგმულებს და განამტკიცებს. მე ჯერ ისეთი პატიოსანი კაცი არ მინახავს, რომელსაც ეს თვისება ჰკლებოდეს. როგორც ჯარის კაცს არა აქვს შნო ცარიელს მუნდირში უიარაღოთ, ისე ულაზათოა და მახინჯი ცარიელი პატიოსნების მექონი კაცი, მოკლებული მხნეობასა და მამაცობას. ქვეყანა ბრძოლის ველია, დაიარაღებული ავაზაკებით სავსე,—და აბა რას გარგებს აქ ცარიელი პატიოსნება, თუ თან მამაციც და გულადიც არა ხარ? პატიოსანი კაცების სიმამაცე საუკეთესო ფარხმალია საზოგადოებისათვის, შეურყეველი ბურჯია სწავლა-განათლებისათვის. რა საპყარი და საცოდავი არსებაა ის კაცი, რომელიც, უბედურებას რომ დაინახავს, ტირილის მეტს ვერას ახერხებს, მექრთამეობას რომ შენიშნავს—ხვნეშის და დიდ რამ ავკაცობას თუ შეხედა—მაშინვე ზურგს შეაქცევს და გარბის? ვინც მხდალია—იგი ყოველთვის სუსტია, მას ყოველთვის თავბრუ ესხმის, როგორც მთვრალ კაცს ანუ ბნედიანს.

სიმამაცეს გარდა სრულს ხასიათს ყოველთვის სჩვევია გაუდრეკელი, უკანდაუხეველი საქმის მიწოლა და დაუღალავი მუყაითობა. ეს ასეც უნდა იყოს: კაცი ხომ ბამბის ბთილა არაა, რომ საითაც ქარი შემოუბერავს—იქით გაფრიალდეს. როგორ უნდა მივენდოთ იმ კაცს, რომელიც დღეს სწყველის ძალადობას, ხვალ კი მისი ყურმოჭრილი მონა ხდება, რომელიც დღეს მამაცობს, ხვალ კი სიმხდალით იკაკვება?

ძველი დროის ერთმა ვიღაც მწერალმა შემდეგი კითხვა—პასუხი გალექსა ლათინურ ენაზედ:

რა უფრო მჩატეა ფრთაზე?—ჰაერი.
რა უფრო მჩატეა ჰაერზე?—ნიავი.
რა უფრო მჩატეა ნიავზე?—დედა-კაცი.
რა უფრო მჩატეა დედა კაცზე?—არაფერი.

მე კი უკანასკნელ კითხვაზე «არაფრის» მაგიერად ეუპასუხებდი: უხასიათო კაციმეოქი.

დრო მიდის, ცხოვრებას სხვა და სხვა ფერი ედება და, რასაკვირველია, კაცნიც ი

რწმენათა და აზრებს; მაგრამ კაცმა უნდა გამოიცვალოს მხოლოდ ის, რაც დროებითია და არა უკვდავი დედა აზრები, რომლებიც კაცობრიობის უძვირფასესს ანდერძს შეადგენენ.

ასე კი ხშირად მოხდება ხოლმე, რომ გრძნობიერი, გულფიცხელი კაცები, რაიმე მოულოდნელი და ძლიერი შთაბეჭდილების და მღელვარების დროს, მეტად ცხარდებიან, შფოთვენ, თავდავიწყებით და თავდაუჭერლად მოქმედებენ. მაგრამ ამისთანა აღელვების დროს გონებამ უნდა დაამშვიდოს და დააწყნაროს კაცი, თორემ შეიძლება ისეთი რამ საქციელი ჩაიდინოს მან, რომელმაც დიდად ავნოს მის პირად თავისუფლებას, მომავალს დედააზრებს, შეურაცხჰყოს მეგობრობა და დიდს უბედურობაში შთააგდოს მთელი მისი ოჯახი.

ზოგიერთი კაცი სავსეა გატაცებული აზრებით, განზრახვებით და მისწრაფებებით, მაგრამ ვერ გირჩევთ მთლად დაენდოთ მას; იგი ჰგავს ლერწმის ჯოხს, რომელიც შეხედულობით თუმცა საიმედოა და ცოტაოდენი სარგებლობაც მოაქვს, მაგრამ, როცა სრული იმედი გაქვსთ მისი, მაშინ გადაგიტყდებათ და ხელს შეგაჭრისთ.

ხასიათზედ კიდე უნდა ვსთქვათ, რომ იგი უცბად და მხა-მხარეულად არ ჩნდება კაცში; ხასიათი თან-და-თან იზრდება და მკვიდრდება აღზრდის საშვალებით: კეთილი საქციელნი ჩვეულებათ იქცევიან, ჩვეულებანი—ბუნებად. ხასიათის გასაწვრთნელად და შესამუშავებლად მეტი დრო ითხოვება, ვინემ კარგი ხის გაზრდისათვის. როდესაც ხასიათი გაიწვრთნათ და განიმტკიცოთ, კარგად მოუარეთ და გაუფრთხილდით მას; იგი ანიჭებს კაცს ტკბილს ძილს, კმაყოფილს გულს და იმ ნეტარებითს მშვიდობას, რომელსაც ემერსონი დ ა მ შ ვ ი დ ე ბ უ ლ ძალას უწოდებს.

ხასიათი ძვირფას სამკაულს შეადგენს კაცისათვის ყოველ გვარ ცხოვრებაში და წრეში. ვსთქვათ, ოჯახში რამე მოულოდნელი განსაცდელი და გაჭირვება გეწვიათ, მაგალ. ამოვარდა საშინელი ქარი და ქშენითა და ღრიალით გინგრევთ სახლს, აცლის და აგლეჯს მას სახურავს, ამას მოჰყვა ჭექა-ქუხილი, ბუნება აირია და ექადის მთელ ქვეყანას დაქცევას,—მაშინ ხომ დიდები და ქაბუკნი, მოხუცნი, ქალები და ბავშვები—ყველა იმასთან მირბიან და მას ეხვევიან გარეშემო საშველად და დასაფარავად, ვინც მათში მტკიცე და მხნე ხასიათის პატრონია; აი ჭეშმარიტად იგია ის დ ა მ შ ვ ი დ ე ბ უ ლ ი, მყუდრო ძალა, რომელზედაც ლაპარაკობს ემერსონი.

როდესაც სხვა და სხვა პოლიტიკურ დასებს აეიწყდებათ, რომ იგინი არიან ხალხის წარმომადგენელნი და ძაღლებივით ერთმანერთს შეეტაკებიან გასაგლეჯ-გასათხრეშად; როდესაც გაბრაზებულ და განძვინებულ პირთაგან ლანძღვა-გინებისა და ქაქანისაგან ასეთი ალიაქოთი და მტვერი ადგება ხოლმე, რომ ჭეშმარიტება სრულიად ბნელითა და ბურუსით იმოსება—მაშინ ერის ფხიზელი ჭკუა-გონება ყოველთვის მედგარი და მაგარი ხასიათის კაცს მიმართავს ხოლმე ქვეყნის საშველად და საპატრონოდ: თეორიულ სწავლა-მოძღვრებაზედ და გაბრაზებული დასების შეტაკებაზედ ყოველთვის ძლევამოსილობს და იმარჯვებს პატიოსნება და სიმართლე. ხშირად მომხდარა, რომ მედგარი ხასიათის პატრონ კაცებს გადაურჩენიათ ერი გ ე ნ ი ო ს ი კ ა ც ი ს ძალადობისა და მტარვალობისაგან. ხასიათში—იხატება მთელი კაცი; ხასიათი—ღერძია, ბეჭედია კაცის კეთილშობილებისა.—

იოსებ ბზვანელი.

ხერსონის და ოდესის მთავარ-ეპისკოპოსი ნიკანორი.

(† ნეკროლოგი)

განსვენებული, ერის კაცობაში ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბროვკოვიჩი, დაიბადა 1827 წელს. ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელში სწავლის შესრულების შემდეგ განსვენებული შევიდა მოგილევის სასულიერო სემინარიაში, საიდგანაც, როგორც საუკეთესო მოწაფე გაგზავნილ იქმნა პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში, რომელიც იმ დროს ითვლებოდა ერთ საუკეთესო სემინარიად. ამ სემინარიაში სწავლის დამთავრების შემდეგ განსვენებული შევიდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, სადაც აღიკვეცა ბერად და სწავლა შეასრულა მაგისტრის ხარისხით (1851 წელში). აკადემიაში სწავლის შესრულების თანავე იგი დაინიშნა ამავე აკადემიაში მასწავლებლად

(29 სექტემბრ დან 1851 წ.). ბოლოს განსვენებული აღვანიდ იქმნა არქიმანდრიტის ადგილზე და დაინიშნა რიგას სასულიერო სემინარიის რექტორად, შემდეგ ამავე თანამდებობაზე გადაყვანილ იქმნა სარატოვის და გ-ტებსკის სასულიერო სემინარიებში. 1856 წელში განსვენებული დაინიშნა უფაზანის სასულიერო აკადემიის რექტორად. 3 იგლის 1871 წ. ნიკანორი დაინიშნა ავსაისკის ეპისკოპოსად დონის ეპარქიის ვიკარად (1871—1877 წლებში). შემდეგ ნიკანორი გადაყვანილ იქმნა უფის ეპარქიაში (1876—1883 წ.). და, ბოლოს, ოდესაში (12 დეკემბრიდან 1883 წ., სადაც მიიღო ხარისხი მთავარ-ეპისკოპოსობისა (20 მარტს 1886 წ.).

განსვენებული მთავარ-ეპისკოპოსი ნიკანორი იყო შესანიშნავი რეგენტი სწავლული ღვთის-მეტყველი და ნიჭიერი მქადაგებელი. განსვენებულის მეცნიერულ შრომათ ეკუთვნიან: «რჩევა კათოლიკეთა სწავლისა ბაბის პირველობაზე» («ქრისტიანეთა საკითხავი» 1852, 1853 და 1857 წლებში), რომელიც ამას წინეთ გამოვიდა ორ გამოცემად. ამ თხზულებისათვის განსვენებულს უფაზანის აკადემიამ მისცა ხარისხი დეთის. მეტყველების დოქტორობისა, «აღწერა ზოგიერთა თხზულებათა, რომელნიც დაწერილნი იყვნენ რუსის მწვალებლთაგან» (ბეტ. 1861 წ.), „კითხვები, თუ როგორ უნდა შეკაწყოთ თითები ბიჯვრის გამოსახვის დროს», ბოზიტიანია თეოლოგია და ზესთა მგრძნობიარეობა (ბეტერ. 1875—1876 წლებში, სამი ტომი). შრავალი ქადაგებანი, რომლებიც პირველად იბეჭდებოდენ სასულიერო ჟურნალებში (ძვ. «მართლ-მადიდებელ მიმოხილვაში»). შემდეგ ეს ქადაგებანი დაიბეჭდნენ ერთად შემდეგის სათაურით: მოძღვრებანი ნიკანორისა, უფის ეპისკოპოსისა (უფა 1883 წ. 475 გვერდი), ბოლოს ეს მოძღვრებანი დაიბეჭდენ შემდეგის სათაურით: «საუბრები და მოძღვრებანი» (ოდესა, 1884—1887 წ. ოთხი ტომი).

აქვე მოგვაქვს სიტყვა, რომელიც განსვენებულმა წარმოსთქვა სიკვდილის წინ ქრისტე შობის დღეს.

«დიდება მაღალთა შინა ღმერთისა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

ამ დიდს მსოფლიო და დიდებულს დღეს ზეციერი ანგელოზებისაგან იგალობება: «დიდება მაღალთა შინა ღმერთისა და ყოველსა ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება».

ეს დღე იმდენად დიდი და სასიხარულოა, რომ რაიმე კარგი მწუსრებას ადგილი არა აქვს. ვსწირავ ჩემს გულითადს მადლობას ყველა კეთილ-მორწმუნე პირთ, როგორც მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთ, ისე სხვა აღმსარებელთ, რომელნიც ყველგანდან ჩემი სიტყვისათვის ღმერთს. ეს დიდი იმედია ჩემოვის, მაგრამ ამასი ღირსი არა ვარ.

ჩემის მხრით, თანახმად წმ. მოციქულის პავლეს მცნებისა, მე ვსწირავ ღმერთს ყველა, ლოცვასა, და მადლობასა ყოველ კაცთათვის, პირველად მათთვის, რომელნიც ჩვენთან ერთად აღიარებენ ერთ სარწმუნოებას, ხოლო მეორედ ყოველთა და ყოველისათვის, «რათა მშვიდობით და მუდრეობით ვსცხოვრებდეთ ყოველთა ღმრთის მსახურებითა და სიწმინდითა, რამეთუ ესე არს კეთილი და სათნო წინაშე მაცხოვრისა ჩვენისა ღმრთისა, რომელსა ყოველთა კაცთა ჴნებავს ცხოვრებაი და მეცნიერებისა ჭეშმარიტებისასა მოსვლა». კაცთ მოუყვარე სული ქრისტესი არა მხოლოდ უფლებას გვაძლევს ჩვენ, არამედ ამასთან ერთად გვამცნებს, რათა ვილოცვიდეთ ყოველთა კაცთათვის, არა მარტო მათთვის, რომელნიც ეკუთვნიან ქრისტეს ჭეშმარიტ ეკკლესიას, არამედ მათთვისაც, რომელნიც არ ეკუთვნიან მას, ვიდრემდის ჩვენ ვსცხოვრებთ ამ ქვეყანაზე. რადგანაც ქრისტეს ჭეშმარიტი ეკკლესიის არა მოწყმენე სული განუტევებს ქვეყნიურ ცხოვრებას, წმ. ეკკლესია, რომელიც მუდამ ევედრება ღმერთს თავის განსვენებულ შვილთათვის, ამ უწყმენო პირთა სულს მიანდობს ღვთის მართლ-მსაჯულებას და მოწყალებას.

ვთხოვთ თქვენ, ღვთის მოშიშნო პირნო, ევედრეთ ღმერთს, რათა განთავისუფლებულ იქმნეს ცოდვილი სულისაგან ცოდვილი სული მრავალ-ღირებულის მთავარ-ეპისკოპოსის ნიკანორისა, და იქმნეს საუკუნოდ დიდება მაღალთა შინა ღვთისა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება ღვთისა!

მორჩილი ნიკანორი, მთავარ-ეპისკოპოსი ხერსონისა და ოდესისა».

თბილისის სასულიერო სემინარიის ცხოვრებიდგან.

წარსული წლის დეკემბრის ჩვიდმეტს სიკვდილმა წაგვართვა ერთი საუკეთესო ამხანაგი ფარნაოზ ძმისტარაშვილი, მოწაფე მეხუთე კლასისა. განსვენებული იყო ღარიბი დედ-მამის შვილი, რომელთაც არამც თუ შვილის გაზრდა არ შეეძლოთ, თვითონაც ლუკმა პურს ძლივს-ღა შოულობდენ, მოხუცებულობისა გამო. ამიტომ განსვენებული სემინარიის მთავრობისაგან მიღებულ იქმნა სემინარიის კორპუსში. თავის ჭკუით, შეუდარებელი მეცადინეობით, რკინის ენერგიით განსვენებული ყველას გვაკვირვებდა; მასთან ის მორჩილება და წრფელი სიყვარული, რომლითაც იგი იყო გამსჭვალული, ცხადად ამტკიცებდა მის ბუნებითს გულ-წრფელობას, სიკეთესა, რომლითაც ფარნაოზმა კიდევაც დაიმსახურა პატივისცემა და თანაგრძნობა ყველა ამხანაგებისაგან. საწყალი ფარნაოზი ამ ერთი თვის წინად უცებ ავად-გახდა და სემინარიის საავადმყოფოში დაწვა. პირველად მას დაემართა წითელი ქარი (როჟა) და ძლივს მორჩა. ბოლოს ექიმმა უთხრა, რომ შენ ყვავილი გჭირსო და ამისათვის იგი გაგზავნილ იქმნა თბილისის მიხეილის საავადმყოფოში. თურმე შავი ყვავილი ყოფილიყო და უმისოთაც დასუსტებულს სულ ძალ-ღონე გამოულია და 17 დეკემბერს ფარნაოზმა განუტევა სული.

ფარნაოზ ძმისტარაშვილის სიკვდილმა აურაცხელს მწუხარებაში ჩაგვაგდო ყველა. სემინარიის რექტორმა მ. არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა, უწირა განსვენებულს და პანაშვიდი გადუხადა. წირვის გათავებისას სიტყვა წარმოსთქვა სამმა შეგირდმა: ორმა მეხუთე კლასიანმა (განსვენებულის ამხანაგებმა) გიორგი ლაზარაშვილმა და დავით დავიდოვმა რუსულს ენაზედ, და ერთმა მეორე კლასისს მოწაფემ, ნიკოლოზ მხეცურიანმა ქართულს ენაზედ.

დ. დავიდოვის და ნ. მხეცურიანის წარმოთქმულმა სიტყვებმა ბევრს ურიცხვი ცრემლი აფრქვევია თვალებიდგან. დავიდოვმა ილაპარაკა იმაზე, თუ რანაირი განწყობილება ჰქონდა განსვენებულს ამხანაგებს შორის და როგორი სიყვარულით იყო იგი გამსჭვალული ამხანაგებისადმი... შემდეგ დავიდოვმა ასე დააბოლოვა სიტყვა: «უფრო გულს ის გვიკლავს, რომ სასტიკმა სენმა არ გვაღირსა შენს ამხანაგებს, რომ შენს წინაშე ულმობელი ცრემლები დაგვენთხია და ამიტომ შორიდგან გტირით». შემდეგ ამისა წარმოსთქვა სიტყვა ნ. მხეცურიანმა, რომელიც აქვე მოგვყავს:

«საყვარელნო ძმანო!

«ცრემლ დანთხეულნი, გულ-დამწყდარნი და დადაგულნი ვსდგევართ დღეს ეკკლესიასა ამას შინა, რომ ვილოცოთ განსვენებულის ძმის და ამხანაგის ჩვენის ფარნაოზ ძმისტარაშვილისათვის. სიკვდილი, ვისიც უნდა იყოს, გულის გამხეთქელს, მიწასთან გამათახსირებელს და საშინელს შთაბეჭდილებას მოგვივლენს ხოლმე. მაგრამ სიკვდილიცაა და სიკვდილიც. ზოგიერთის სიკვდილი თუმცა წუხილს და აღშფოთებასა აღძრავს ხოლმე ჩვენში, მაგრამ ეს წუხილი წარმავალი, დროებითი და ცოტა ხნისაა, მერე კი სრულიად აღმოიფხვრება ჩვენის გულიდამ. მაგრამ ზოგიერთის სიკვდილი იმისთანა ღრმასა და საშინელს შთაბეჭდილებას მოგვგვრის ხოლმე, იმისთანა ღრმა კვალს დასტოვებს მთელს ჩვენს არსებაში, რომ ეს კვალნი არას დროს არ დაშრტებიან, არამედ დარჩებიან ჩვენთან განუყრელად. სწორედ ეს უკანასკნელი ითქმის ფარნაოზის გარდაცვალებაზე. იმის სიკვდილმა რაღაც საოცარი და მოულოდნელი თავზარი დაგვცა. ვინც კი ასე თუ ისე დაახლოვებული იყო განსვენებულთან, ვინც იცნობდა მას, ვინც იცოდა იმის ხასიათი და ცხოვრება,—ჭეშმარიტია, რომ იმის გულიდამ არ აღმოიფხვრება ხსოვნა ფარნაოზისა.

ფარნაოზი იმ კაცთაგანი იყო, რომელსაც კარგად ჰქონდა შეგნებული დანიშნულება ამ ქვეყანაში კაცისა საზოგადოდ და კერძოდ მოსწავლისა. იგი არ კმაყოფილდებოდა მარტო გაკვეთილების სწავლითა, არამედ იგი კითხულობდა სხვა-და-სხვა წიგნებსა იმ მიზნით, რომ გაევითარებინა თავი თვისი და ამ სახით გამოსულიყო სასარგებლო კაცი საზოგადო ასპარეზზე. იგი მარტო სიტყვების ჩხარუნით და ყბედობით კი არ იყო მდიდარი, არამედ ეგ ზემოთქმული იდეია იყო იმისთვის საკვებავ-საჭმელად, ეგ მიზანი ძვალ-რბილში ჰქონდა მას გამჯდარი და იმის აღსრულებაში მოყვანისათვის არ ზოგავდა თავის თავსა. მაგრამ, საყვარელნო ძმანო, სად არიან ეხლა ეგ აზრნი, ეგ მიზანი? იგინი, ძმანო, გაქარწყლდენ, ოცნებასავით გაფრინდენ, გათახსირდენ და მიწასთან გასწორდენ.

თუმცაღა გაქარწყლდენ, მაგრამ ფარნაოზის სიკვდილის გამო იმისთანა გრძნობითა ვართ გამსჭვალულნი, თითქოს დაგვკლებოდეს ვიღმე შესანიშნავი გვამი, რომელმაც დაგვიტოვა თავისი გონებრივი ნაშრომნი, თხზულებანი და ამით დიდი სარგებლობა მოგვიტანა. ეს იქიდგან სჩანს, საყვარელნო ძმანო, რომ, თუმცა იმას თავის ნაშრომი არასფერი არ დაუტოვებია, არავითარი შესამჩნევი სარგებლობა არ მოუტანია, მაგრამ მან მაინც აღასრულა თვისი მოვალეობა, თვისი დანიშნულება. მან ანდერძად დაგვიდო: «ჯერ კანონიერად განვითარდი, გაიცანი თავი შენი, და მერე გამოდი საზოგადო ასპარეზზეო». იგი ცდილობდა გაევითარებინა თავი თვისი და მერე გამოსულიყო სასარგებლო მუშაკი, მაგრამ ბედმა უმტყუნა და უღალატა მას. მიმეორებ, იმან აღასრულა თავისი დანიშნულება, თავისი იდეალი. იგი იყო აღჭურვილი ენერგიითა და ლტოლვილებითა—აღსრულებაში

მოეყვანა ის იდეალი, რომელსაც ასე ღრმად ჰქონდა ფესვი გადგმული იმის გულში. კიდეც სასარგებლო კაცი გამოვიდოდა, რომ სიკვდილს არ მოეღო ბოლო მისთვის.

საყვარელნო ძმანო! თუმცა გულ-აღშფოთებულნი ვართ და დამწუხარნი, მაგრამ მაინც ჩვენს გულში დასტოვა ფარნაოზის სიკვდილმა რაღაც ნუგეში და ღრმა კვალი. ნუ სწუხართ, ძმანო, მისთვის, იმან თავისი მოვალეობა და დანიშნულება აღასრულა, რადგან მისი სიკვდილი არ დარჩა ჩვენთვის უსარგებლოდ.

აწ ვილოცოთ უფლისა მიმართ, რომ მან მრავალ-მოწყალემან მიუტევოს შეცოდებანი განსვენებულს და მიანიჭოს მას სასუფეველი ცათა შინა. ამინ».

ერთი სემინარიელთაგანი.

მოღრეკილი ლოღიკა.

(ბატ. ანდრო ბენაშვილის პასუხისა გამო).

ანდრომ კიჟინ-კიჟინით
დაგვიწუნა ლოღიკა,
მაგრამ ნახეთ, ლოღიკა
თვითონ როგორ მოღრიკა!

საპასუხო საგანი
შეისროლა ბანზედა,
და სხვა სულ ჩამოთვალა,
რაც რამ ეწყო განზედა.

სვანი, მეგრელ-ხევსური,
მესხი, აფხაზ-ფშაველნი
ვ თომ ჩვენ არ ვიცოდეთ,
რომ არიან ქართველნი.

პირიქით ჩვენ ისა ვსთქვით,
რომ ყველანი ერთია...
სულ კახურათ ნუ გალობ,
აქ ხომ იმერეთია?

ქართული ხმების მოყვარე.

საისტორიო მასალა.

მუჯრები

(გაგრძელება*).

არანის ზანდუკლები. სახლის უფროსი კაცნი თუ მოკვდენ, ან მეუღლენი მათნი კაცზედ მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული ორი წასახურავი ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. აგრეთვე მათის მეუღლის ნიშანი ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, თავსახურავი ორი, წასახურავი უნდა წილკნელს მიართონ. თუ სახლის უმცროსი იყოს, ან უცოლო ერთს საწირავს მიართმევენ ერთს წასახურს ბატონს წილკნელს. არანის ლვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფლის კაცზედ ერთს დღეს ჩაყენება, კომლზედ თითო პინა პური, თითო ლიტრა ქერი, მსახური ან სოფლის მოხელე თუ მოკვდეს საწირავი ცხენი შეკაზმული, აგრევე იმათის მეუღლისა რაც შეეძლოს ერთი საწირავი მიართონ. საკანონო რაც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით.

მთვალისკლის ლვდელს ერთს დღეს ჩაყენება ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს დღეს ჩაყენება კომლზედ დრამა პური პინა ერთი ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ სოფლის მოხელე თუ მოკვდეს საწირავი ცხენი შეკაზმული აგრევე მათის მეუღლის რაც შეეძლოს საწირავი მიართონ. საკანონო რაც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით.

ანანურს ჩაბძანდეს ბატონი წილკნელი კრებულით ქამი სწიროს ერისთვისათვის. სასადილოდ ერისთვისაგან მიუვიდეს. ანანურის დეკანოზი ხონჩას მიართმევს. ანანურის დეკანოზი რომ მოკვდეს რაც შეუძლია საწირავს მიართმევს სხვა არა აძევს-რა.

ჰაისხეველებს არა აძევს-რა. არა დრამა, არა სხვაც, არც ჩაყენება წილკნელისა, თვინიერ თუ ლვდელი მოკვდეს, ან გამოჩენილი მსახური, რაც შეეძლოს საწირავი მიართონ. ქაისხეველებს ამიტომ არა აქვთ-რა, რომ იმათი გული კიდევ მოუქცევარი იყო, ეფისკოპოზ შესვლას წყინობდენ, არც ახსა-

---

*) იხ. «მწყემსი» № 24 1890 წ.

რებას იტყოდნენ. ზაალ ერისთავმა რომანოზი წილკნელი შეგზავნა წილკნელს ჯალდი უყვეს, არ შეუშვეს. ერისთავმა უწყინ თ იასაულები გამოუსივათ ავად მოეპყრა, ადგნენ და წილკნელს შეეხვეწნენ და წილკნელმა იპატივა და წილკნელის საწირავი დაიდვეს. ამას იქით ვინც გასჯულავთ, იმათ თვითანაც და [1] მწყემსისათვინაც ბოროტი არა არისრა. მთაში შესვლა მამამთავრისა და ჯვარის მტირთვისა არ იქმნების

აფხაკს ლვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა, კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლი რა ერთი, მსახურისა და მოხელეს საწირა ი ცხენი შეკაზმული, აგრევე მსახურის ცოლს რაც შეეძლოს ერთი საწირავი წილკნელს მიართონ. საკანონო რაც ზემოთ დაგვეწეროს, ისე გამოართვით. მამა მთავარს აბაზი საყდრის კურთხევაზედ [2])

. . . .

ალევს ლვდელს ერთს დღეს კარგი მასპინძლობა, სახუცო ხარი ორი, ცხვარი ორი კომლზედ, დრამა შულო ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს ან სოფლის მოხელე საწირავი ცხენი შეკაზმული, აგრევე იმათი მეუღლისასაც შეეძლოს ერთი საწირავი მიართონ. საკანონო რაც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით. ამას ზევით წილკნელს ხელი არ აქვს. მ რზაშვილს [3], ქსანზე საქმე არა აქვს, არც ანანურს ზევით მთაში.

ჩვენ ფრიად ცოდვილმან და ყოვლად ულირსმან წილკნელ ეფისკოპოსმან წილკნის ღვთის მშობლის სამწყსოსა გუჯარი მე დავაწერინე ბატონის შვილის კათოლიკოზის დომენტის ბძანებითა ასე რომე ქსანზედ რატიშვილმა საწირავად დაგვახტია . წაველით. ქსანში ჩამოცვივდა ერთი ხელი წირვის იარალი, ევრი სხვა რამ საქონელი და წილკნის ღვთის მშობლის სამწყსოს იქ დამეკარგა გუჯარიც. დიაღ დიდს შევიწროებაში ჩავარდი იმ გუჯრის და კარგვისათვინ, დიაღ დიდი ხნის ნაკურთხი ეფისკოპოზი ვ ყავ ჩემი ეკკლესიის სამწყსოს ამბავი (ე. ი. ამბავი და რიგი ვიცოდი. აზნაურშვილს რა ედვა, მსახურს რა ედვა ან სახუცო, ან დრამა რა ედვათ. ბევრი ნაკლებიც დავსწერე აგრემც . . . .

იორს ლვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვა-ი სოფელს ერთს დღეს მას ინძლობა კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი, მსახური თუ მოკვდეს ან სოფლის მოხელე საწირავი, ერთს დღეს მასპინძლობა, საკანონო რაც ზევით და ვეწეროს ისე გამოართვით. მამა მთავარს აბაზი.

აშს ლვდელს ერთს დღეს ჩაყენება ხარი და ცხვარი, სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა კომლზედ დრამა; პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე საწირავი საკანონო რაც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით.

ქვავლს ლვ ელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს ან სოფლის მოხელე საწირავი მიართონ. საკანონო რაც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართონ.

დუშეთს კობიაშვილები, თუ სახლში უფროსი კაცი ან მოხელე მოკვდეს ან მეუღლენი მათნი კაცზედ მთელი ნიშანი — ცხენი შეკაზმული, სუფრის იარალი, თასი წასახური ერთი, წილკნელისა ერთი თვი ი ერთი. დედაკაცზედ ნიშანი ტყავი ან ტოლომა, კაბა სარტყელი, ლილი, ბეჭედი, თავსახურავი და წასახურავი, ესეები წილკნელს მიართონ. თუ სახლის უმცროსი კაცი ან უცოლო მოკვდეს ან მეუღლენი მათნი ერთი საწირავი, ერთი წასახური მიართონ დუშეთის ლვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს ან სოფლის მოხელე საწირავი და ცხენი შეკაზმული დედაკაცზედ რაც შეეძლოს ერთი საწირა ი მიართონ საკანონო იყოს რამე როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ჭალაშვილები ან წილკლიშვილები სახლის უფროსნი ან მოხელენი თუ მოკვდეს ან მეუღლენი მათპი კაცზედ მთელი ნიშანი — შეკაზმული ცხენი ორი წასახური, ერთი წილკნელისა ერთი თავისი.

---

1) მომსხო ხელით არის ეს მოწერილი.

2) ესეც აგრეთვე მომსხო ხელით არის მოწერილი, დამატებული ამ ორივე შემთხვევაში ერთი იგივე უნდა უოფილიყო: დამწერი ამ გუჯრისა.

3) ე. ი. მირზაშვილზედ.

აგრეთვე იმათის ცოლების თუ მოკვდეს ნიშანი ტყავი ან ტოლომა სარტყელი, ღილი ბეჭედი, თავსახური ორი, წასახური წილკნელს უნდა მიართონ. თუ სახლის უმცროსი ან უცოლო მოკვდეს ან მეუღლენი მათნი ერთი საწირავი და ერთი წასახური მიართონ.

კარჭაშვილები [1])

ალღუნს ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს დღეს ჩაყენება. კომლზედ დრამა — პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს ან სოფლის მოხელე საწირავი—ცხენი შეკაზმული. აგრეთვე იმათი ცოლების საწირავი, როგორც შეეძლოს საკანონო როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ბაზალუთს ჩდალელიშვილი. სახლის უფროსი კაცი თუ მოკვდეს. ან მოხელე, ან მეუღლენი მათნი: კაცზედ მთელი ნიშანი—ცხენი შეკაზმული ორი, წასახურავი ერთი, ერთი წილკნელისა, ერთი თავისი, აგრეთვე იმათი მეუღლენი რომ მოკვდენ საწირავი ნიშანი ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი თავსახურავი ორი მიართონ. თუ სახლის უმცროსი კაცი მოკვდეს, ან უცოლო, ან მეუღლენი მათნი ერთი საწირავი და ერთი წასახურავი წილკნელს მიართონ. ბაზალულს ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს დღეს ჩაყენება. კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს ან მოხელე სოფლისა საწირავი—ცხენი შეკაზმული. აგრეთვე მათის ცოლებისა რაც შეეძლოსთ საწირავი მიართონ. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზემოთ დაგვეწეროს ისე გამოართვით.

ბალურტს ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა—პური პინა ერთი ქერი ლიტრა ერთი. მსახური მოკვდეს თუ ან მოხელე საწირავი ცხენი შეკაზმული. აგრეგე იმათი ცოლები რომ მოკვდენ რაც შეეძლოს საწირავი მიართონ. საკანონო თუ რომ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს ისე აიღევით.

ებნისკლს ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფლის ერთს დღეს ჩაყენება კომლზედ დრამა—პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი, მსახური თუ მოკვდეს ან სოფლის მოხელე საწირავი—შეკაზმული ცხენი. აგრეგე თუ მათი ცოლები მოკვდენ რაც შეეძლოსთ საწირავი მიართონ წილკნელსა. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვან.

ბრემისხევს ტეირშვილები, მიქელისშვილები. უფროსი ან მოხელე თუ მოკვდეს ან მეუღლენი მათნი კაცზე მთელი ნიშანი—ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი, ერთი წილკნელსა, ერთი თვისი. აგრეთვე მათის მეუღლისა—საწირავი ნიშანი ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი ორი, წასახურავი წილკნელს უნდა მიართვან. თუ სახლის უმცროსი კაცი ან უცოლო მოკვდეს ან მეუღლენი მათნი [1]) ერთი საწირავი და ერთი წასახურავი წილკნელს მიართონ. ბრემისხევს ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი დ ცხვარი. სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა—პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე საწირავი—შეკაზმული ცხენი აგრეთვე მათის შეუღლისა რაც შეეძლოს ერთი საწირავი. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

[1]) ამ გვარის გარდასასადი არ არის ხელოთ ...

[1]) იგულისხმება მხოლოდ «უმცროსი კაცი». ამას ეგუთვნის მხოლოდ სიტყვა «ან ძეუღლეს მათნი», რადგანაც უცოლოს არც მეუღლე ეუღლებოდა.

ახალი ამბები და შენიშვნები.

სოფლის ვაკისუბნის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი და სამრევლო გულითადს მადლობას უძღვნიან ქუთაისში მცხოვრებს აზნაურს ლუარსაბ სიმონისძეს მდ-ვანს, რომელსაც ხსენებული ეკლესიის გასამშვენებლად შეუწირავს ასი მანეთი ნაღდი ფული.

* *
*

გამოვიდა და ისყიდება ქართულს ენაზე გალობის სახელმძღვანელო წიგნი, შედგენილი მთავარდიაკონის ი. შარაბიძისაგან. ამ სახელმძღვანელოს მოპოვება შეუძლია მსურველთ ქუთაისში ძმათა ჭი-

ლაძეების და წერეთლების წიგნების მაღაზიებში და თვითონ შემადგენელთან. სახელმძღვანელო ღირს სამი აბაზი, მაგრამ მოსწავლეთ დაეთმობა 50 კ.

* * *

 კაი ხანია, რაც ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მეოთხე და მესამე კლასის მოწაფეები წირვა-ლოცვის დროს რიგ-რიგობით ეხმარებიან ეკლესიაში მღვდელს და მედავითნის ყოველ მოვალეობას იგინი ასრულებენ. ეს ძალიან სასარგებლოა, რადგან მოწაფეები აქედგანვე შეეჩვევიან სალმრთო და საეკკლესიო წიგნების კითხვას. უფრო სასიამოვნო ის არის, რომ თვით ამ სასწავლებლის ზედამხედველი ბ. ალექსანდრე ან. იაროსლავი მოწაფეებთან ერთად ხშირად სდგას ხოლმე საწიგნეზე, ხელმძღვანელობს მოწაფეებს და უჩვენებს მათ მაგალითს საეკკლესიო წიგნების წაკითხვისას.

* * *

14 იანვარს მოციქულთ-სწორის საქართველოს განმანათლებელის წმ. ნინას დღესასწაულის დღეს ქუთაისის საკათედრო ტაძარში სწირა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა. ამ დღეს ყოვლად სამღვდელო ჩვეულებრივად სწირავდა ხოლმე ქუთაისის საქალებო გიმნაზიის ეკკლესიაში, მაგრამ წელს ამ სასწავლებლის მოწაფე ქალები დათხოვნილი იყვნენ, რადგან ბევრი მოსწავლე ქალი ყვავილით არის ავად.

* * *

დავით აღმაშენებელის სამლოცველოს განსაახლებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსაჭედებლად ჩვენ მივიღეთ მღვ. დარისპან ბარათაშვილისაგან 7 მანეთი და 50 კ., რომელიც შემოსწირეს შემდეგ პირებმა: ოქროპირ ბარდაველიძემ 1 მ., მიხეილ ბესარიონის ძე ბარდაველიძემ 1 მ., პელაგია ლეჟავას ასულმა 1 მ., ეკა ჩუბინიძის ასულმა 1 მ., სერგისა ბარდაველიძემ 1 მ., ივანე ლაზარეს ძე გვენეტაძემ 50 კ., ალექსი ივანეს ძე გვენეტაძემ 50 კ., ბარბარე მოდებაძის ასულმა 50 კ., ბესარიონ აბულაძემ 40 კ., კონსტანტინე ბარდაველიძემ 20 კ., ალექსი გვენეტაძემ 20 კ. და სარდიონ აბულაძემ 20 კ.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზედ.

სიტყვა,

თქმული ახალ წლის დღესა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან.

> ეკრძალებოდეთ უკვე, ვითარმცა განკრძალულად ჰხვალთ, ნუ ვითარცა უგნურნი, არამედ ვითარცა ბრძენნი; გამოიჴსენით ჟამთა, რამეთუ დღენი ბოროტნი არიან (ეფეს. 5, 15—16).

განვლო კიდევ ერთმა წელმა თვითეული ჩვენგანის ცხოვრებიდგან, ძმანო ქრისტიანენო! დადგა ახალი წელიწადი, და ესეც ისე მალე და შეუმჩნევლად გაივლის, როგორც წარსულმა წელიწადმა გაიარა. ასე გაივლიან სხვა წელნიც, თუ ვიცოცხლეთ. მაგრამ ვიცოცხლებთ კი და ან მრავალს წელს ვიცოცხლებთ? ეს არ ვუწყით! და აი მოციქული პავლე ზემოდ მოყვანილ სიტყვებში გვაძლევს ჩვენ სასარგებლო დარიგებას—ვუყუროთ დროს გონივრად და ვისარგებლოთ მითა ბრძნულად. თუ ოდესმე შესაფერი და საჭიროა ყურადღება მივაქციოთ მოციქულის ამ დარიგებას, ეს სწორედ დღეის დღესა. არასფერში არ შეუძლია გამოიჩინოს კაცმა თავის ქვეყნიური სიბრძნე, როგორც თავის დროის გონივრულად მოხმარებაში—«მითხარი მე, იტყოდა ხოლმე ხშირად საფრანგეთის ერთი გონიერი მეფე, ვინ არიან შენი მეგობარნი და მე გეტყვი, ვინც ხარ შენ». ესევე შეიძლება ითქვას დროის და მისი ხმარების შესახებაც. მითხარი მე, თუ როგორ სარგებლობ შენ შენი დროით და მე გეტყვი, როგორიც კაცი ხარ შენ, ვინაიდგან ყოველნი საქმენი, თვით აზრნი და გრძნობანი კაცისა დროს ითხოვენ და გამოიხატებიან დროთა შინა.

მოციქული პავლე გვამცნებს ჩვენ, რათა გამოვისყიდოთ დრო. რას ნიშნავს გამოსყიდვა დროისა? ნიშნავს იმას, უბრალოდ არ დავკარგოთ დრო, მით უმეტეს არ ვიხმაროთ იგი უსარგებლო შექცევაზე და განცხრომაზე, ანუ რაიმე მავნებელ საქმეებზე და, მით უმეტესად ცოდვებზე და დანაშაულობაზე, არამედ ვიმუშაოთ,—ვიშრომოთ. შრომა, მუშაობა ქვეყნიური ანუ სოფლიური, აი ფასი რომელიც უნდა მივაგოთ ჩვენ ჩვენდამი ღვთისაგან მონიჭებულ დროს.

ვინც ამ სახით გამოისყიდის თავის დროს, მას უხვად აჯილდოვებენ თვით შემდეგი დრონი. არა ვითარი გონიერი შრომა არ დარჩება დაუჯილდოებლად! რასაც სთესავს კაცი და რამოდენსაც სთესავს, მას მოგებით მოიმკის, ხშირად ამავე ქვეყანაზე, ხოლო ყველანი უსათუოდ მომავალს ცხოვრებაში. პატიოსნური და თავის დროზე ასრულება მოვალეობისა, რომელიც ყოველს კაცს ადევს, თანახმად მისი წოდებისა, არის თვით უკეთესი ხმარება დროისა. ვინც მორჩილად, წმიდად და გულით აღასრულებს თავის მოვალეობათა, როგორც მოქალაქე და როგორც ქრისტიანე, ის ამ სახით გონივრულად გამოისყიდის თავის დროს.

მოციქული პავლე, რათა უფრო დაგვარწმუნოს ჩვენ, რომ გონიერად მოვიხმაროთ ჩვენი დრო, დასძენს: **ვინაიდგან დღენი ბოროტნი არიან.** ჟამნი და დღენი ბოროტნი და ცვალებითნი არიან. არავინ არ უწყის, თუ რა მოგველის ჩვენ ხვალის დღეს, მით უმეტეს არ ძალგვიძს შევიტყოთ, რა დაგვემართება ჩვენ მთელი წლის განმავლობასა შინა. საიდგან უწყი შენ, ჩემო ძმაო, რომ ერთი წლის შემდეგ, თვით ამა დღეს, მხიარულად მიულოცავ შენს მეგობრებს და მათგანაც მიიღებ ახალი წლის და ახალი ბედნიერების მილოცვას? ამიტომ თვით უბრალო კეთილგონიერება მოითხოვს ჩვენგან, რომ გონივრულად ვისარგებლოთ ჩვენი დროით.

მაგრამ, ძმანო ქრისტიანენო, თქვენ უეჭველად დამეთანხმებით მე, რომ ძალიან უგნურად იქცევიან და დიდს განსაცდელში აგდებენ თავის თავს ის ქრისტიანენი, რომელნიც მთელს თავის სიცოცხლეს მთელს თავის ძალას სწირავენ მხოლოდ ამ მალე მიმდინარე, ბოროტ ქვეყნიურ ცხოვრებას და სრულებით ივიწყებენ და არ ზრუნავენ ზეციური ცხოვრებისათვის. უგნურად იქცევიან ისეთნი პირნი, ვინაიდგან იგინი ივიწყებენ, რაც საუმჯობესოა და უმაღლესი და ზრუნავენ მხოლოდ უმდაბლესზედ და ცუდზედ. ეს მოკლე ცხოვრება ღმერთმა მოგვანიჭა ჩვენ იმისათვის, რათა ალვიზარდოთ და მოვემზადოთ მომავალი საუკეთესო ცხოვრებისათვის. ეჭვ გარეშეა, რომ ყოველი შრომა, ყოველივე მუშაობა, რომელიც მიმართულია განსაკარგებლად ჩვენი ქვეყნიური ცხოვრებისა და აღსრულებულია მორჩილებით და ღვთისადმი სასოებით, როგორც ჩვენ ზემოთაცა ვსთქვით, სასიამოვნოა ღვთისათვის. მაგრამ, თუ კაცი მხოლოდ ზრუნავს ქვეყნიური ცხოვრებისათვის, მაშინ იგი, თანახმად ძველი აღთქმის ერთი წინასწარმეტყველის ბრძნული სიტყვისა თესავს **ქარს და მოიმკის ქარიშხალს.** რას ნიშნავს სიტყვები: სთესავს ქარს? ნიშნავს ქარაფშუტად ცხოვრებას, გაფანტულად, უგონოდ, უმიზნოდ, ერთი სიტყვით, სითაც შეუბერავს ქარი, ამოებანი და გულის ვნებანი, ისიც იქით მიისწრაფის! ასეთი კაცი ადრე თუ გვიან მოიმკის ქარიშხალს, ე. ი. მწუხარებას, ღელვათა, სინდისის ქეჯნას სიკვდილის წინ და საუკუნო წვალებას სიკვდილს შემდეგ, რომლისაგანაც დაგვიფაროს ჩვენ ღმერთმა, რომელიც გვამცნებს გაუფრთხილდეთ დროს, ვთესოთ სიკეთე, მშვიდობა, სიყვარული ყოველთვის და ყოველგან. ა მ ი ნ.

საეჭვო კითხვების განმარტება.

ვლადიკავკავის ეპარქიის ერთი პატივცემული მღვდლისაგან ჩვენ მივიღეთ წერილი, რომელშიც იგი გვთხოვს განუმარტოთ შემდეგი კითხვები:

1) მართლ-მადიდებელმა პირმა რომ თავი მოიკლას, შეუძლია თუ არა მღვდელს, რომ ამისთანა განსვენებულზედ ქრისტიანული წესი დამარხვისა და წირვა ლოცვისა აღასრულოს?

2) მშობიარე მომაკვდავი დედაკაცის ზიარება შეიძლება თუ არა?

3) მშობიარობის დროს გადაცვლილი დედაკაცის ტაძარში შესვენება და იქ წესის აგება შეიძლება თუ არა?

4) ქრისტიანე კაცი რომ უმღვდელოთ დაიმარხოს, შეიძლება თუ არა ამისთანა განსვენებულს შემდეგ აეგოს წესი?

თუ ექიმების შემოწმებით დამტკიცდა, რომ თავის მკვლელი მკვლელობის ჩადენის დროს სრულს ჭკუაზედ არ იყო და თავის მკვლელობა ჩაიდინა ამისთანა მდგომარეობაში, როცა მას სრული აზროვნობა არა ჰქონდა, მაშინ მღვდელი ვალდებულია ამისთანა თავის მკვლელზედ აღასრულოს ყოველივე წესი. ამის შეტყობა შეიძლება მხოლოდ ექიმების გამოკვლევით. თუ მღვდელს ექიმისაგან ამისთანა დამოწმება არა აქვს, მას არ შეუძლია თავის მკვლელი ქრისტიანული წესით დამარხოს, ვინაიდგან წესდებულების მეცატმეტე ტომის 910 მუხ. წინეთ განზრახულებით და მრთელს მეხსიერებაში თავის მკვლელი უნდა იქმნეს წალებული და უპრალო მიწაში დამარხული.

სამწუხაროდ დღეს ამ კანონს აღარავინ არ უყურებს. სრულს მეხსიერებაში მყოფი თავის მკვლელნი ისეთივე წესით იმარხებიან, როგორც სხვა გარდაცვალებულნი და ზოგიერთი მღვდელნიც დიდათ არ საჭიროებენ ექიმების დამოწმებას.

2) მართალია, მშობიარე დედაკაცი მეორმოცე დღემდის არ შედის ეკკლესიაში და მეორმოცე დღეზედ შედის მღვდლისაგან დადებული წესის აღსრულების შემდეგ, მაგრამ ამით სრულებით არ არის აღკრძალული გარდაცვალებული მშობიარე დედაკაცის გვამის ტაძარში შესვენება. წესი ცოცხლისა სხვა არის და გარდაცვალებულისა სხვა.

3) მართალია, იერუსალიმის პატრიარქი ტიმოთე აღუკრძალავს ეკკლესიაში სიარულს და ზიარებას დედაკაცთა დედათ წესის მოსვლის დროს, მაგრამ აქედგან სრულებით არ შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ზიარება აღკრძალული ჰქონდესთ ასეთ დედაკაცებს სიკვდილის დროს. ჯანმრთელ კაცს მოუმზადებლად ზიარება აღკრძალული აქვს, მაგრამ მძიმედ ავადმყოფობის დროს კი აზიარებენ. აქედგან ცხადია, რომ მშობიარე ავადმყოფი დედაკაციც უნდა აზიარონ.

4) რიგი და წესია, რომ მღვდლის თანადასწრებით დაიმარხოს გარდაცვალებული, და თუ რაიმე მიზეზისა გამო მღვდელი არ იშოვება, მაშინ შეიძლება წესი ან პანაშვიდი აუგონ განსვენებულს დამარხვის შემდეგაც საფლავზედ. მაგრამ ჩვენ ძლიერ საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ ორი-სამი დღის განმავლობაში მღვდელი ვერ მოიყვანონ შორე ადგილიდამაც.

რედაქციისაგან.

მიყრუებულ სოფლებში გლეხები ავადმყოფობის დროს ხშირად მიდიან რჩევისათვის ნასწავლ პირებთან. ამისთანა შემთხვევაში გლეხები უმეტესად მიდიან თავიანთ მოძღვრებთან, რომელთაც უფრო ენდობიან და უფრო ერწმუნებიან. ამიტომ ხშირად სოფლის მოძღვრები—სულიერი მკურნალები—ხან-და-ხან უნებლიეთ ხდებიან ხორციელ მკურნალებადაც. დამტკიცდა საქმით, რომ მრავალნი მოძღვარნი დიდ შველას და დახმარებას უწევენ ავადმყოფობის დროს გაჭირვებულ ხალხს მიყრუებულ სოფლებში, სადაც ექიმები იშვიათად იშოვებიან. ამისთანა ალაგებში სულიერ მამებს, რომელთაც ცოტაც არის შეუსწავლიათ ექიმობა და საექიმო რჩევები, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ გაჭირვებული ხალხისათვის. 23 წლის მღვდლად მსახურებამ ჩვენ ეს ცხადათ დაგვიმტკიცა, ცხადათ დაგვიმტკიცა ისიც, თუ რა დიდი შემწეობის მიცემა შეუძლიათ მღვდლებს უბრალო რჩევა-დარიგებით და სულ მცირე საექიმო რჩევის მიცემით. არიან მრავალნი ავადმყოფობანი, რომლის მორჩენა თავდაპირველად ადვილი საშუალებით და მცირე დარიგებით შეიძლება, მაგრამ როდესაც დრო გავა, მერმე ძლიერ გამოცდილი ექიმიც ველარასფერს გააწყობს. ამისათვის ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ დრო გამოშვებით ვბეჭდოთ ხოლმე ჩვენს გამოცემაში პირველდაწყებითი საექიმო და გიგიენური ცნობები.

ამ საქმეში ჩვენ დახმარება აღგვითქვა კარგად ცნობილმა ექიმმა ბ. ს. ბ. თოფურიამ. ამას გარდა დღეს ჩვენს ხელთ არის კიევის ერთი დოქტორის ბ. დანკევიჩის მშვენიერი საექიმო რჩევანი და დარიგებანი, რომელნიც იბეჭდებოდენ და დღესაც იბეჭდებიან ჟურნალს «Руков. для сель. пастырей»-ში. ამ ექიმისაგან წარსული წლის აგვისტოში, კიევში ჩვენი მყოფობის დროს, ჩვენ მივიღეთ სრული უფლება ამ რჩევების ბეჭდვისა და ქართულს ენაზედ გამოცემისა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ არც ჩვენი ქართველი ნასწავლი ექიმები დაამადლიან გაჭირვებულ ხალხს კეთილ რჩევას და საექიმო დარიგებათა თავის მხრით და ამით დაუმტკიცებენ მას თავიანთ თანაგრძნობას....

შინაარსი: ახალი წელიწადი.—მეგრულს ენაზედ წერა-კითხვის გამოგონებისა გამო.—«მწყემსი»ს კორესპონდენციები.—ხასიათის მნიშვნელობა კაცის ცხოვრებაში.—† ხერსონის და ოდესის მთავარ-ეპისკოპოსი ნიკანორი.—თბილისის სასულიერო სემინარიის ცხოვრებიდამ.—მოღრეკილი ლოდიკა.—საისტორიო მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—სიტყვა, თქმული ახალ წლის დღეს იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან.—საეჭვო კითხვების განმარტება.—რედაქციისაგან.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ, 15 Января 1891 г.*
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр. Хахановыхъ на Нѣмецкой ул.